შპს ტელეკომპანია „რიონის“ ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

ქ.ქუთაისი
2019 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია ქუთაისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი“).

ქუთაისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1.1 მომსახურება იწარმოება DVB-T (EN 300 744) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG4 (H-264-ISO/IEC 144496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T (COFDM:8k, 64-QAM, Coding rate:2/3, Guard interval:1/8) პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22.118 მგბტ/წმ, ხოლო SD არხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2.15 მგბტ/წმ-ისა;

1.2 ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ქ.ქუთაისი, ფალიაშვილის #2

1.3 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე

1.4 ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: ციფრული ინტერფეისი (HDMI) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAI. სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით;

2. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფები:

2.1 ქუთაისის ზონაში ღია ეთერით SD (2.15 მგბტ/წმ) არხის გავრცელებისთვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს - 2218 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

3. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები

3.1 „აქცეპტანტი“ ვალდებულია წარმოადგინოს:
ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი
დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა

4. ოფერტის მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2019 წლის 01 აპრილიდან და მოქმედებს ორი წლის მანძილზე - 2021 წლის 01 აპრილამდე.

თამარ ღვინიანიძე

ტელე-რადიო კომპანია „რიონის“
გენერალური დირექტორი